



„სამართლიანი არჩევნების“ აღმასრულებელი დირექტორი აშშ-ის სახელმწიფო მდივანს შეხვდა

2008 წლის 10 ივლისს „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ აღმასრულებელი დირექტორი ეკატერინე სირაძე-დელონე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს, ქალბატონ კონდოლიზა რაიზას შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდნენ: ქალბატონი ნინო ბურჯანაძე, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

შეხვედრის მთავარი თემა იყო საქართველოს მომავალი დემოკრატიული განვითარება. საუბარი იყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე და აფხაზეთის კონფლიქტზე, ასევე საქართველოს ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში განწევრიანებაზე. შეხვედრას ჰქონდა ზოგადი ხასიათი და აშშ-ის სახელმწიფო მდივანს დამსწრე საზოგადოებისათვის კონკრეტული რეკომენდაციები არ მიუცია.